12. სახლში (3) / წინა-პარი (4) / რაიმეზე დამდ-გარი მზის შუქი (5)
13. იაპონ-ური ლე-ქსი (5) / (.....) ფხაკაძე (4) / ფინელი კომპო-ზიტორი (9)
14. დიდი ინდო-ელი (4) / სიმღ-ერა (6)
15. ჭადრაკ. ჩიხი (4) / საფრა-ნგეთის ქალაქი (6) / კოლონა (5)

**Row clues (top to bottom):**

- ახასიათებთ იტალიელებსაც და ქართველებსაც (12)
- ჩვენი ანსამბლი (5)
- 20 000-ში მონაწილეს აქვს (6) / აფრიკის ქვეყანა (6)
- გურული ივანე (6)
- უმცირესი საჯარისო შენაერთი (6) / საიდან მოდის?! (4)
- ძვირფასბეწვიანი ცხოველი (9)
- გენიის ქვედა საფეხური (4) / ჩვენი გენიალური ქალბატონი (4)
- ამერიკული მიმართვა ქალისადმი (3)
- პური შეიძლება ასეთიც იყოს (4) / ნაძლევი ანუ? (4)
- ნარნარი ფრენა (4) / ვოლტერის ნამდვილი გვარი(4)
- *პაუზა, ესე იგი ამ ხაზე სიტყვა არ არის*
- სინდისი (6) / აჭარაშია (5)
- აქვთ საზღავო ოფიცრებს (5)
- პიკასოს ქალიშვილი (6) / ესპანეთის მკვიდრი (5)
- ედპ-ს ყოფილი ლიდერი (8)
- ყოველდღე ანუ ყოველ... (7) / სასტუმრო თბილისში (5)
- მესამე პირი (3) / აიბოლიტის მტერი (8)
- რუსი მეზღაპრე-კინორეჟისორი (3) / სსრკ თვითმფრინავი (2)
- მარტი (7)
- საჰაერო გზავნილი (4) / ჩიტი (ძვ.) (4) / ბრეხტის ქალიშვილი (5)
- ტალახი (4)
- ძალიან ცუდის ნიშანი (6) / ე.წ. „სპილენძის ხანა“ (8)



# ეს უცნაური იტალიელები

*ნაწყვეტები მარტინ სოლის წიგნიდან - The Xenophobe's Guide to the Italians*

## ტელევიზია

შესაძლოა, სატელევიზიო „ხალტურა“ იტალიაში არ გამოუგონიათ, მაგრამ აქ ეს საკითხი სრულყოფილებამდე ნამდვილად მიიყვანეს. თვით სამი სახელმწიფო არხიც კი ისეთი „დაუდევრობებითაა“ გატენილი, რასაც არცერთი სხვა ქვეყნის ტელევიზია წამითაც კი არ დაუშვებდა. ხშირად ტელემაყურებლები ცარიელ ეკრანს უმზერენ, რადგან გადაცემები დადგენილზე ბევრად უფრო გვიან იწყება, დიქტორები კი მომართული თოჯინებივით კითხულობენ ტექსტს, რასაც არანაირი კავშირი არ გააჩნია ეკრანზე ასახულ მოვლენებთან.

იტალიელები უფრო მეტად მხატვრულ და მულტიპლიკაციურ ფილმებს უყურებენ,ე.წ. „საპნის ოპერებისათვის“ კი ყველაფერს ივიწყებენ და ტელეეკრანებთან გაყურსულები სხედან. საოცარია, მაგრამ ამერიკული „საპონი“ იტალიაში ბევრად უფრო დიდი პოპულარობით სარგებლობს და, თქვენ წარმოიდგინეთ, უფრო საინტერესო საყურებელიცაა, რადგან ეს სერიალები იტალიურ ენაზეა დუბლირებული და პრაქტიკულად შეცვლილი აქვს აზრიცა და რიტმიც. ამიტომაცაა, რომ ამერიკული „თამამების და ლამაზების“ (*სერიალია ასეთი - რედ.*) პერსონაჟების საუბარი ბევრად უფრო გასაგებია იტალიელებისათვის, ვიდრე მათი პარლამენტის წევრთა გამოსვლები.

ადგილობრივი ტელეპროდუქცია კი ძირითადად მოიცავს ნაირგვარ შოუს, რაც ე.წ. „საოჯახო აუდიტორიაზეა“ ორიენტირებული. იტალიელი ბავშვები, როგორც წესი, თერთმეტ საათამდე არ იძინებენ და ამიტომაც უფროსებთან ერთად თვალს ადევნებენ გაუთავებელ ვიქტორინებს, კონკურსებს, ცეკვანარევ და რეკლამაშერეულ სიმღერებს...

იტალიაში დუბლირებული უოლტ დისნეიც მოსწონთ და ბუნების შესახებ შექმნილ ფილმებსაც ინტერესით უყურებენ. არც ისეთი გადაცემები რჩება ყურადღების გარეშე, როგორიცაა „ნოკაუტი“ ან ევროვიზიის სიმღერის ფესტივალი; სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ლამის სან-რემოს ფესტივალთანაა გათანაბრებული, როცა ევროპის სხვა ქვეყნებში მას მაინცადამაინც დიდი გულისყურით არ ადევნებენ თვალს.

ბევრ გადაცემას ფარული კამერით იღებენ, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ მაყურებელმა თვალი ადევნოს ადამიანების შეულამაზებელ ცრემლებსა თუ მრისხანებას . ავიღოთ, მაგალითად, ტელეჩანახატები - „ოჯახური კონფლიქტები“. ფარული კამერა „თვალს ადევნებს“ ვინმე მარიას, რომელიც მეუღლესთან ერთად ერთ ოჯახში საქმიან სადილზეა მისული. იქ მათ ხვდებათ საოცრად მოხდენილი დიასახლისი, რომელსაც ვარდისფერი კაბა მაცდურად აქვს შემოტმასნილი ტანზე... ეს დიასახლისი მომნუსხველად უღიმის მარიას ქმარს და საბოლოოდ სთხოვს მას (მარიას), რომ „ქმარი ათხოვოს მცირე ხნით“. ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, მარიას ბუნებრივი ისტერიული სკანდალი მოსდევს, რადგან მან არ იცის, რომ იგი გააბრიყვეს და ფარულ კამერაში მოხვდა...

გვიან ღამით უფროსები უმზერენ ისეთ გადაცემებს, როგორიცაა, ვთქვათ, “***Colpo grosso***” („საკვანძო ნომერი“), სადაც მონაწილეები პრიზებს სტრიპტიზის შესრულებისათვის იღებენ.

ერთადერთი „ნათელი ლაქა“ იტალიური ტელევიზიისა გახლავთ ნახევარსაათიანი პროგრამა “***Striscia la notizia***” („ახალი ამბების ზოლი“), სადაც საკმაოდ ოპერატიულად აისახება მიმდინარე მოვლენები, მისი მთავარი თემა კი ცნობილი პოლიტიკოსების ტალახში ამოსვრა და მათი შეცდომების განქიქებაა, რაც ყველაზე მეტად ამხიარულებს იტალიელებს.

## პრესა

გაზეთები იტალიაში ძალიან ძვირი ღირს და მათი მკითხველების რაოდენობაც ძალზედ შეზღუდულია. დღეში საშუალოდ 6,5 მილიონი ეკზემპლარი იყიდება და, როგორც ამბობენ, ეს ციფრი განუხრელად მცირდება, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იტალიელებს ან კითხვა აღარ უყვართ ან საკუთარ პრესას აღარ ენდობიან; უბრალოდ ისინი ცდილობენ (...და ახერხებენ) იმას, რომ ერთი ეკზემპლარის მოხმარება რამოდენიმე ადამიანმა შეძლოს!

იტალიელები უფრო მეტად სერიოზულ პრესას სწყალობენ და ცდილობენ პოლიტიკურ ორომტრიალში თავადაც იყურყუტონ. განუზომელი მოთხოვნილებით კი, რა თქმა უნდა, „კორიერე დელო სპორტ“-ი სარგებლობს, რაც არც მკითხველის და არც მყიდველის ნაკლებობას არ უჩივის.

ჭორების გასაცნობად საუკეთესო საშუალებაა ილუსტრირებული ჟურნალები ***“Oggi”*** („დღეს“) და „ნოველლა 2000“, სადაც ყველაფერი წერია - ჰოლივუდის ამბებიდან დაწყებული ინდოეთის ჯუნგლებით დამთავრებული.

დაბოლოს: მიუხედავად იმისა, რომ „პაპარაცი“ წმინდა იტალიური მოვლენაა, აქაურ ჟურნალებში პრაქტიკულად ვერ შეხვდებით პოლიტიკოსების ცხოვრების „ბნელი“ სკანდალური მოვლენების ასახვას, მიზეზი კი ის გახლავთ, რომ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ და ადგილობრივი პრესა დიდი ხანია უსიტყვოდ შეთანხმდნენ, რომ დროსტარებაში ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ!

## ლაციო Lazio (Latium)




მდებარეობს აპენინის ნახევარკუნძულის დასავლეთ ცენტრალურ ნაწილში. შედგება შემდეგი პროვინციებისაგან: ვიტერბო, ლატინა, რიეტი, რომი, ფროზინონე.

**ფართობი** - 17 203 კვ.კმ.
**მოსახლეობა** - 5 192 000.
**ადმ.ცენტრი** - რომი (იტალ. Roma).

ლაციოს ტერიტორიაზე ადამიანები ძვ. წ.აღ. პირველ ათასწლეულში დასახლდნენ. ამ ტომებს ერქვათ „ლათინები“ და ოლქის სახელიც აქედან წარმოდგა. ძვ.წ.აღ. IV საუკუნიდან და შემდგომ ლაციოს პრივილეგირებული ადგილი ეკავა რომის იმპერიის არსებობისა გამო.

# რომის პაპები

ვბეჭდავთ რუსულ ენაზე, რადგან მცირე ვადებში ზუსტი ქართული შესატყვისების დადგენა არ ხერხდება.
წყარო - ˜СОВРЕМЕННАЯ УНИВЕРСАЛЬНАЯ РОССИЙСКАЯ ЭНЦИКЛОПЕДИЯ˜

| | | |
|---|---|---|
| 1. | I в. | Апостол Петр |
| 2. | 67–76 | Лин |
| 3. | 76–88 | Анаклет (Клет) |
| 4. | 88–97 | Климент I |
| 5. | 97–105 | Эварист |
| 6. | 105–115 | Александр I |
| 7. | 115–125 | Сикст I |
| 8. | 125–136 | Телесфор |
| 9. | 136–140 | Гигин |
| 10. | 140–155 | Пий I |
| 11. | 155–166 | Аникет |
| 12. | 166–175 | Сотер |
| 13. | 175–189 | Элевтерий |
| 14. | 189–199 | Виктор I |
| 15. | 199–217 | Зеферин |
| 16. | 217–222 | Каликст I |
| | 217–235 | Ипполит (антипапа) |
| 17. | 222–230 | Урбан I |
| 18. | 230–235 | Понциан |
| 19. | 235–236 | Антер |
| 20. | 236–250 | Фабиан |
| 21. | 251–253 | Корнелий |
| | 251 | Новациан (антипапа) |
| 22. | 253–254 | Луций I |
| 23. | 254–257 | Стефан I |
| 24. | 257–258 | Сикст II |
| 25. | 259–268 | Дионисий |
| 26. | 269–274 | Феликс I |
| 27. | 275–283 | Евтихий |
| 28. | 283–296 | Гай (Кай) |
| 29. | 296–304 | Марцеллин |
| 30. | ...308–309 | Марцелл I |
| 31. | 309–310 | Евсевий |
| 32. | 311–314 | Мильтиад (Мельхиад) |
| 33. | 314–335 | Сильвестер |
| 34. | 336 | Марк |
| 35. | 337–352 | Юлий I |
| 36. | 352–366 | Либерий |
| | 355–365 | Феликс II (антипапа) |
| 38. | 366–384 | Думасий I |
| | 366–367 | Урсин (антипапа) |
| 39. | 384–399 | Сириций |
| 40. | 399–401 | Анастасий I |
| 41. | 401–417 | Иннокентий I |
| 42. | 417–418 | Зосима |
| 43. | 418–422 | Бонифаций I |
| | 418–419 | Евлалий (антипапа) |
| 44. | 422–432 | Целестин I |
| 45. | 432–440 | Сикст III |
| 46. | 440–461 | Лев I Великий |
| 47. | 461–468 | Иларий |
| 48. | 468–483 | Симплиций |
| 49. | 483–492 | Феликс III (II) |
| 50. | 492–496 | Геласий I |
| 51. | 496–498 | Анастасий II |

# დიდი იტალიელები



# ფანტაზიის დიდოსტატები


მომზადებულია ინტერნეტის მასალების მიხედვით

**გენიალურმა მაგმა დევიდ კოპერფილდმა ყველაზე დიდი გამოცანა საკუთარი ცხოვრებისაგან შექმნა. მის შესახებ პრაქტიკულად არაფერია ცნობილი. თუმცა ზოგი რამ ცნობილია: ვთქვათ ის, თუ სად და როდის დაიბადა, რამდენჯერ აქვს მიკუთვნებული „ემის“ პრემია ან დედამიწის ზურგის რომელ წერტილში ატარებს იგი გასტროლებს; სხვა დანარჩენი მზერაგაუვალი ბურუსითაა მოცული.**

## დევიდ კოპერფილდი
**David Copperfield**

(დაიბადა 1956 წლის 16 იანვარს)

* * *

1994 წელს ინგლისურ Cosmopolitan-ში ანგელოზისსახიან კლაუდია შიფერთან ხელგადახვეული ვიღაც ინდეფერენტული კაცის ფოტო გამოქვეყნდა, რომელსაც ასეთი წარწერა ჰქონდა დართული: „ცნობილმა ტოპ-მოდელმა თავის საქმროდ სახელგანთქმული ილუზიონისტი შეარჩია, რომელიც, სიმართლე რომ ითქვას, საკმაოდ უსიმპათიო ვინმეა თავისი ხელოვნური და მაცდური ღიმილით. როგორც ჩანს, კლაუდია მას სრულიად არ უყვარს და ამ მშვენიერ ტოპ-მოდელს ევროპის ბაზარზე გამოსასვლელად იყენებს“.




გავიდა 5-6 წელი და კოპერფილდმა მართლაც ტრიუმფით დაიპყრო ევროპა და... დაშორდა კლაუდიას...

* * *

დემონიური დევიდი ბავშვობაში მორცხვი და უკარება ებრაელი ბიჭი დოდიკ კოტკინი გახლდათ. უფრო მეტი ეკზოტიკისათვის ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მისი მშობლები ოდესელი ებრაელები არიან, რომლებიც შტატებში გერმანიიდან გადასახლდნენ; მამამისი მზა ტანსაცმლის მაღაზიის მეპატრონე, დედა კი მაღალანაზღაურებიანი სადაზღვევო აგენტი იყო იმხანად.

კოპერფილდი კლასიკური ებარელი ბიჭუნა იყო იმ გაგებით, რომ ყველაზე მეტად ამქვეყნად საკუთარი დედ-მამა უყვარდა (...და უყვარს!), ეს უკანასკნელნი დღეს ყველა გასტროლზე თან დაჰყვებიან შვილს და კვლავაც ერთ ოჯახს წარმოადგენენ.

ამბობენ, რომ პატარა დოდიკს უნიკალური მეხსიერება ჰქონდა - მან ზეპირად იცოდა მთელი თორა. იგი სულ რაღაც ოთხიოდე წლის იყო, როცა ბაბუამ ბანქოს ქაღალდებით ფოკუსი აჩვენა და ბავშვმა მაშინვე შეძლო მისი გამეორება. მშობლები ყველანაირად უწყობდნენ ხელს ბიჭის გატაცებას. ისინი ადგილობრივი სინაგოგის მრევლისათვის შვილის მიერ შეთხზული ფოკუსების წარმოდგენებსაც კი მართავდნენ.

თორმეტი წლის ასაკში ბიჭს უკვე შეეძლო თავისი მშობლიური ქალაქის, მეტჩენის (ნიუ ჯერზის შტატი) ნებისმიერი საკონცერტო დარბაზი დაექირავებინა სპექტაკლისათვის. დევიდი თანაქალაქელების კერპად იქცა, მის კონცერტებს მაყურებელი არასოდეს მოჰკლებია. თხუთმეტი წლის ასაკში მისტერ კოტკინი ამერიკის ჯადოქართა ასოციაციაში მიიღეს და ამ ორგანიზაციის ყველაზე ახალგაზრდა წევრიც გახდა. თექვსმეტი წლის რომ შეიქნა, ნიუ-იორკის უნივერსიტეტში მაგიის ლექციებსაც კი ატარებდა...

1974 წელს ჭაბუკი კოტკინი Fordham University-ში ჩაირიცხა, პარალელურად კი მიუზიკლ „ჯადოქარში“ მონაწილეობდა და თავის ფოკუსებს აჩვენებდა მაყურებელს (ეს შოუ იყო ყველაზე ხანგრძლივი მუსიკალური პროექტი ჩიკაგოს არსებობის ისტორიაში). სხვათა შორის სწორედ იმხანად შეირჩია დოდიკ კოტკინმა ფსევდონიმად „დევიდ კოპერფილდი“.

* * *

1978 წელს ტელეკომპანია ეი-ბი-სიმ ახალგაზრდა ნიჭიერი კაცი პროგრამა „ეი-ბი-სის საოცრებების“ წამყვანად მიიწვია, ამ პროგრამას კი ძალზედ მაღალი რეიტინგი გააჩნდა. შემდგომი თორმეტი წლის განმავლობაში დევიდი 12-ჯერ წარადგინეს „ემის“ (შოუ-სამყაროს „ოსკარის“) ნომინაციაზე და ხუთჯერ მისი მფლობელი გახდა.

80-იან წლებში დევიდ კოპერფილდმა გრანდიოზული შოუთი მთელი ამერიკა მოიარა, შემდგომ კი მთელ მსოფლიოსაც გადასწვდა. ყველასათვისაა ცნობილი ისეთი ტრიუკები, როგორიცაა ჩინეთის კედელში გასვლა, გრანდ-კანიონის თავზე ფრენა, თავისუფლების ქანდაკების და აღმოსავლეთის ექსპრესის ვაგონის გაქრობა.

ყველაზე საოცარ და გამაოგნებელ ტრიუკად კი ითვლება მისი ფრენა, ოღონდ არა როგორც ჩიტის, არამედ როგორც ვერტმფრენისა.

აი, მოკლედ ყველაფერი ის, რაც მის შესახებაა ცნობილი, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ კოპერფილდი აშშ-ს ათი ყველაზე ცნობილი ებრაელის და პლანეტის 100 ულამაზესი ადმიანის სიაშიც ფიგურირებს. ორიოდე წლის წინ ჟურნალ Forbes-ის თანახმად დევიდი მეშვიდე ადგილზე იყო შოუ-ბიზნესის ყველაზე მაღალანაზღაურებად წარმომადგენელთა შორის, თუმცა ახლა თავისი 49,5 მილიონი დოლარით სადღაც მეოცე ადგილზე ჩამოქვეითდა.

* * *

მოსკოვში არის ადამინი, ვინც კოპერფილდს კარგად იცნობს. ეს გახლავთ რაფიელ წითალაშვილი - რუსეთის ილუზიონისტთა ასოციაციის პრეზიდენტი და მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ილუზიონისტი რუსეთიდან. სწორედ მან შექმნა რუსეთში დღესდღეობით ერთადერთი ილუზიონისტთა თეატრი; ბატონი რაფიელი ფრანგ ილუზიონისტთა ასოციაციამ ოქროს მედლითაც კი დააჯილდოვა ჟანრის განვითარებისათვის გაწეული ფასდაუდებელი ღვაწლისათვის.

მოგვითხრობს ბატონი რაფიელი:

„დევიდის შესაცნობად, შესაძლოა, ერთი ასეთი შემთხვევა გამოდგეს:

ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა მოსკოვის, კრემლის ყრილობათა სასახლეში შედგა, როცა დევიდი უკანასკნელი შოუსათვის ემზადებოდა. ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ კოპერფილდის გასტროლების დროს ყრილობათა სასახლიდან მთელი მომსახურე პერსონალი – გამნათებლები, სცენის მუშები თუ დამლაგებლები – გაიწვიეს. არცერთ გარეშე პირს არ ჰქონდა უფლება მისი მოწყობილობების ნახვისა. მე იქამდე ხუთი კორდონის გავლით შემიყვანეს და მცირე ხანს მარტო დამტოვეს. ეს დევიდის მხრივ საკმაოდ თავაზიანი ჟესტი გახლდათ – პატივისცემა ისეთივე პროფესიონალისა, როგორც იგია (თუმცა რუს ილუზიონისტთა პრესტიჟი და დევიდის საქვეყნო დიდება აშკარად შეუთავსებელი ცნებებია).

ჩვენ ორმოცი წუთის განმავლობაში ვისაუბრეთ, რის გამოც კონცერტის დაწყება თითქმის ერთი საათით გადაიდო. ჩემი საუბარი მისთვის საინტერესო აღმოჩნდა, თუმცა კი ფოკუსების შესახებ მან ყველაფერი იცის. მე მას რამდენიმე ახალი ტრიუკი ვაჩვენე და მან გულწრფელად მოიწონა ყველაფერი ეს; მასთან საკმაოდ ადვილია კონტაქტის დამყარება, რადგან, მიუხედავად რეგალიებისა და მილიონებისა, დევიდი ნამდვილი ფანატია თავისი საქმისა.

იცით, როგორ მუშაობს ის?

დევიდი წელიწადში ხუთასამდე შოუს მართავს, თანაც ყოველ წელს სულ ახალ და ახალ პროგრამას ქმნის. ეს იმას ნიშნავს, რომ დღეში ორი სპექტაკლის ჩატარების შემდეგ მთელი მისი გუნდი რჩება და ახალი ტრიუკების რეპეტიციას გადის. მათ არ აქვთ არცერთი დასვენების დღე, შვებულებაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. დიახ, ეს ნამდვილად ჭკუიდანშემშლელი გრაფიკი გახლავთ.



კოპერფილდი მსოფლიოს საუკეთესო ილუზიონისტია თუნდაც იმიტომ, რომ მან ჩვენი ხელობა საოცარ მწვერვალებამდე აიტანა და შესაბამისი საზღაურიც მიიღო.

იგი თავის პროგრამაში ფოკუსის ყველა სახესხვაობას იყენებს. ჩვენ კი სპეციალიზაცია გვაქვს: ერთნი ბანქოს ტრიუკებს აკეთებენ, მეორენი შორ მანძილზე სხვის აზრებს კითხულობენ, მესამენი წვრილმანი ილუზიით არიან დაკავებულნი. კოპერფილდი კი სრულყოფილად ფლობს ყველა სახეობის ტექნიკას, რაც მას საშუალებას ე.წ. „გრანდ-ილუზიები“ განახორციელოს.

მისი დიდება მისევე საგასტროლო სტრატეგიის შედეგია. იგი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ცდილობს ჩასვლას, ამიტომაც მას ყველგან იცნობენ, არადა შეეძლო რომელიმე კაზინოსთან დაედო კონტრაქტი სადმე მონაკოში ან ლას-ვეგასში, როგორც ამას სხვა ილუზიონისტები აკეთებენ, ფულიც მეტი ექნებოდა და სანახაობებიც უფრო გრანდიოზული გახდებოდა, მაგრამ ეს მას საყოველთაო დიდებას ვერ მოუტანდა.

დევიდმა მსოფლიოს ყველა ცნობილი ილუზიონისტის მიღწევა გააერთიანა. ყველაფერი ორიგინალური და ახალი, რაც ჩვენს ჟანრში იჩენს თავს, მისი საგანგებო ყურადღების საგანი ხდება.

მაინც რას ჰქვია სხვისი ტრიუკი? კოპერფილდი ავტომატურად ხომ არ იმეორებს სხვების ფოკუსებს? მისი თანაშემწეები ჯერ სცენარს თხზავენ, შემდეგ იმას იგონებენ, თუ როგორ ჩართონ ესა თუ ის ფოკუსი ამ სცენარში. შემდეგ საქმეში ერთვებიან მხატვრები, დიზაინერები, კონსტრუქტორები, ქორეოგრაფები. ფოკუსი ისეთ მდიდარ არანჟირებას იძენს, რომ მისი ნამდვილი ავტორები წარმოდგენის მსვლელობისას გაოცებას ვერ მალავენ, რადგან მათი იდეებიდან მხოლოდ ჩონჩხი რჩება, რასაც მხოლოდ გამოცდილი თვალი თუ შენიშნავს.

მეფოკუსეები ესტრადის მომღერლებს ჰგვანან. არაიშვიათად ისინი მხოლოდ ვირტუოზი შემსრულებელნი არიან იმ ტრიუკებისა, რასაც სხვები იგონებენ. კოპერფილდთან სუპერგენიალური ადამინი - დონ ვეინი - მუშაობს. სწორედ მან შეიმუშავა ფოკუსები, რაც ვაგონის გაქრობასთან და ჩინეთის დიდ კედელში გავლასთანაა დაკავშირებული. ვეინის გარეშე დევიდი გასტროლებზე არსად დადის.

მისი პირველი ფილმები სერიალიდან „დევიდ კოპერფილდის მაგია" ორსონ უელსმა გადაიღო, რომელიც, გარდა იმისა, რომ დიდი მსახიობი და რეჟისორია, თავადაც შესანიშნავად ფლობს მაგიის ხელოვნებას. სწორედ ორსონ უელსმა გაუკაფა გზა ახალგაზრდა ნიჭიერ დევიდს გზა დიდებისაკენ.

მაყანნი ფიქრობენ, რომ თუ მთელ მის გუნდს (80 კაცი), ფულს (500 ათასიდან 1 მილიონამდე ერთი წარმოდგენისათვის) და მოწყობილობებს (60 ტონა ტვირთი 700 ათასი დოლარის საერთო ღირებულებით) ვინმე სხვა ილუზიონისტს გა-



დავცემთ, ისიც „ვარსკვლავი" გახდება. ეს მხოლოდ თავის მოტყუეებაა და სხვა არაფერი.

იგი ხომ მილიონიანი ტრიუკების გვერდით ათდოლარიან ფოკუსებსაც ბრწყინვალედ ასრულებს. იგი საოცარი მსახიობია, რომელსაც მაყურებელთა დარბაზთან კონტაქტის დამყარების საოცარი უნარი გააჩნია. მოსკოვში იგი თარჯიმნის დახმარებით მუშაობდა და მაინც ახერხებდა აუდიტორიის დატყვევებას.

სცენაზე მას არანაირი დუბლიორი არ ჰყავს: თავად დაფრინავს და თავადვე ყვინთავს წყალში. ეს ხომ კოლოსალური ფიზიკური დატვირთვაა... საერთოდ კი ამბობენ, რომ მას ცხოვრებაში ორად ორი რამ აინტერესებს: ფოკუსები და ქალები".

* * *

სანამ ქალებზე გადავალთ, ორიოდ სიტყვა მის პატიოსნებაზე უნდა ითქვას.

- მე ვფრინავ, რადგან ეს დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს დღეს - ამბობს დევიდ კოპერფილდი.

ვინმეს ეს განცხადება ცინიზმად მოეჩვენება, არადა, მადლობა ღმერთს მას საერთოდ არ ახასიათებს ეს თვისება, თუმცა კი თავისუფლად შეუძლია ბრბოს წინაშე ღვთის მოციქულად წარმოაჩინოს საკუთარი თავი.

რა მისტიფიკაცია აღარ შეთხზეს მისი გასტროლების შემდეგ - განაგრძობს ბატონი რაფიელი. - რუსეთის გაზეთები ათასგვარ სისულელეს წერდნენ მისი ტელეპათიურობისა და პარანორმალურობის შესახებ. მეც კი მეკითხებოდნენ — მართლა ფრინავსო კოპერფილდი?!

ილუზიონისტები ყველაზე პატიოსანი ხალხი არიან ამქვეყნად. საოცრებათა ჩადენის იმ უნარით, რაც მათ გააჩნიათ, მეფოკუსეებს თავისუფლად შეუძლიათ ბრბო დაარწმუნონ, რომ ისინი კოსმოსიდან მოვლინებულები ან სულაც კაცობრიობის მორიგი მხსნელები არიან, ისინი კი პატიოსნად აფრთხილებენ აუდიტორიას - „ჩვენ მხოლოდ ილუზიონისტები ვართ! ყველაფერი, რასაც თქვენ ნახავთ, თამაშია, ოღონდ ვირტუოზული თამაში. მაშ, გვიყურეთ და დატკბით!" კოპერფილდის შოუ თვით პროფესიონალებსაც დიდ ემოციურ ტკბობას ჰგვრის და ამაშია მისი სიდიადე.

(...არადა, რა სიმპათიური მესია იქნებოდა დევიდ კოპერფილდი!).

* * *

სხვათა შორის, კოპერფილდი არაიშვიათად სასამართლო პროცესებსაც მართავს.

ორიოდე წლის წინ ჰერბერტ ბეკერი აპირებდა ასეთი წიგნის გამოცემას -„მაგიის ყველა საიდუმლო მხილებულია", სადაც კოპერფილდის ზოგიერთი ტრიუკის ახსნა-განმარტებას აპირებდა. დევიდმა სასამართლოს მიმართა; მართალია, პროცესი მან წააგო, მაგრამ გამომცემლებმა ამ წიგნიდან ყველა ის თავი ამოიღეს, რაც ტრიუკების მხილებას შეეხებოდა.

მეორე ილუზიონისტი, რომლის წინააღმდეგაც დევიდმა სასამართლო პროცესი გამართა, თავადაც „დაფრინავდა" და ამას ისეთი მიმბაძველობით იქმდა, რომ მის „ფრენაში" ყველა კოპერფილდის ილეთებს ხედავდა. სასამართლოს შემდეგ მიმბაძველ მფრინავს ჯარიმად ყოველი გამოსვლის შემდეგ 5 000 დოლარის გადახდა დაეკისრეს დევიდის სასარგებლოდ და თან აიძულეს, რომ მაყურებლისათვის ყოველი ტრიუკის წინ განეცხადებინა, თუ ვინ იყო ამ სანახაობის შექმნის იდეის ავტორი.

* * *

ინტერნეტში არის დევიდ კოპერფილდის ოფიციალური საიტი, სადაც დაწვრილებითაა მოთხრობილი მისი მრავალმხრივი ნიჭიერების ამბები.

მწერალ-ფანტასტებთან თანაავტორობით მან უკვე რამდენიმე წიგნი გამოსცა. დევიდს სახლში დაგროვილი აქვს მაგიისადმი მიძღვნილი უზარმაზარი ლიტერატურა. მის პირად მფლობელობაშია დიდი ილუზიონისტების პირადი ნივთებისა და რეკვიზიტის საკმაოდ მრავალფეროვანი მუზეუმიც.

ნიუ-იორკში კოპერფილდმა თავისი სახელობის კაფე გახსნა. ამ კაფეში ოფიციანტები არ არიან. კლიენტებს სიბნელიდან ვიღაცის ხმა ემთხვევა, თუ რას მიირთმევენ და შეკვეთის მიღების შემდეგ საჭმელი „თავისით ჩნდება"

დევიდ კოპერფილდი დიდ დახმარებას უწევს ინვალიდებს; მან ამგვარი ადამიანებისათვის სპეციალური პროგრამაც კი მოიგონა, რაც ხელების სიმარჯვეს უვითარებს მათ.

მოკლედ, როგორც ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა დაწერა, - „ყველაზე მამხილებელი, რაც კოპერფილდის შესახებ შეიძლება ითქვას, ის არის, რომ მას პერანგის ქვეშ დამცავი ჟილეტი აცვია".

* * *

პუბლიკას კი მხოლოდ კოპერფილდის მაგიუ-



რი ხელოვნება არ აინტერესებს. არ არის არცერთი შეხვედრა თუ პრეს-კონფერენცია, სადაც მას კლაუდია შიფერის შესახებ არ დაუსვამდნენ კითხვას. ეს დიდი ილუზიონისტის ერთადერთი „ტრიუკია", რაც ხალხმა ამხილა და ამ წარუმატებლობას კიდევ დიდხანს ვერ აპატიებენ მას.

* * *

ის, რომ შიფერი და კოპერფილდი ერთმანეთს არ შეეფერებიან ყველას პირზე თავიდანვე ეკერა. 1997 წელს „პარი მატჩმა" ამ ორი პოპულარული ადამიანის პირადი კონტრაქტის ასლი გამოაქვეყნა. კლაუდიას, როგორც ჩანს, მხოლოდ დევიდის ესკორტის მოვალეობის შესრულება ევალებოდა. ერთ-ერთ პუნქტში ისიც იყო ნათქვამი, რომ ტოპმოდელს ეკრძალებოდა სხვა მამაკაცების საზოგადოებაში გამოჩენა და დევიდთან ურთიერთობის საიდუმლოების გამხელა. რა თანხას იღებდა ყოველივე ამისათვის კლაუდია, უცნობია, თუმცა ამბობენ, რომ ეს 35 ათასი გერმანული მარკიდან 250 ათას ამერიკულ დოლარამდე მერყეობდა. ამ თანხას შეიძლება ის ბრილიანტის ბეჭედიც მივუმტოთ, რაც კოპერფილდმა გერმანელ ლამაზმანს აჩუქა, მაგრამ მაინც უნდა ითვას, რომ ეს დიდი ვერაფერი ანაზღაურებაა იმისა, რამაც ახალგაზრდობის ხუთი წელი (24-დან 29 წლამდე) კლუდიას „კარჩაკეტილობაში" გაატარებინა, როცა მისმა კოლეგებმა - ჰელენა ქრისტიანსენმა, ლინდა ევანჯელისტამ თუ სინდი კროუფორდმა - გათხოვებაც მოასწრეს და ბავშვების გაჩენაც.

ამ პუბლიკაციას შიფერისა და კოპერფილდის ურთიერთობის გაუარესება მოჰყვა და ერთხელ ილუზიონისტმა ერთ-ერთ ინტერვიუში ისიც კი თქვა, რომ კლაუდიას გაქრობა ისევე სურს საკუთარი ცხოვრებიდან, როგორც აღმოსავლური ექსპრესის ვაგონისა თავის შოუში.

1999 წლის ზაფხულში ნამდვილი სკანდალი ატყდა. პაპარაცებმა კლაუდია დიზაინერ ბრუს ჰოქსმერტან ერთად დაიჭირეს ესპანეთის ერთ-ერთ კურორტზე. ასე ამოიწურა შიფერისა და კოპერფილდის კონტრაქტის მოქმედების ვადა.

* * *

და მაინც რატომა დაიარება კოპერფილდი დღემდე (*იგულისხმება 2000 წლის დასაწყისი - რედ.*) უცოლოდ?

ამერიკელისათვის 44 წლის ასაკი ბევრს არაფერს ნიშნავს. ამასთან დევიდს ცხოვრების ისეთი დაძაბული გრაფიკი აქვს, რომ ცოლზე ფიქრიც კი არ უნდა, ხალხი კი, ვინც მისი შემოქმედების შესახებ ზრუნავს, თვლის, რომ იგი უნდა იყოს უცოლო, რათა დარბაზში მჯდომმა ყოველმა ქალმა ის საკუთარ პრინცად ჩათვალოს.

თუმცა ამბობენ, რომ მალე კოპერფილდი ამგვარ იმიჯს შეიცვლის...

ის კი, რომ მას შიფერთან არაფერი გამოუვიდოდა, თავიდანვე ცნობილი იყო და ეს სულაც არ არის იმის ბრალი, რომ მათ ერთმანეთში საქმიანი კონტრაქტი ჰქონდათ... საქმე იმაშია, რომ დევიდის დედიკო და მამიკო ამ ქორწინების წინააღმდეგნი იყვნენ!...

# *მსოფლიო კინოს 50 ქალღმერთი*

*გამოშვება №32, ნაწილი პირველი*



## ანი ჟირარდო

## Annie Girardot

## დაიბადა 1931 წლის 25 ოქტომბერს

**იგი საკუთარ თავს ყოველთვის ოპტიმისტად თვლიდა და სხვებსაც აიძულებდა, რომ იგი საკუთარ თავში დარწმუნებულ ძლიერ ქალად ეღიარონ. ალბათ, ამიტომაცაა, რომ საფრანგეთში ვერავინ შენიშნა, თუ როგორ ექცა ნამდვილ კოშმარად ანი ჟირარდოს ცხოვრების უკანასკნელი წლები.**

**ანი გაუგონარ დეპრესიაშია ჩავარდნილი, დღეში რამოდენიმე კოლოფ სიგარეტს ეწევა, სულ აღარ ხმარობს კოსმეტიკას და არც პლასტიკური ოპერაციის გაკეთება ახსენდება.**

*ფრანგები ხუმრობენ: „ანი ჟირარდოს სახე ახლა პარიზის რუკას ჰგავსო!...“*

*„დიახ, ძალიან მახინჯი ვარ, რადგან მე აღარავინ მყავს ისეთი, ვისთვისაც გალამაზება დამჭირდება“ - ამბობს ანი ჟირარდო, რომელსაც ამ ბოლო დროს მეხსიერებამაც უღალატა და თეატრის დირექტორებმაც სწორედ ამიტომ აქციეს ზურგი - სპექტაკლი სკანდალად არ გვიქციოსო...*

* * *

მათ ერთმანეთი „როკო და მისი ძმების“ გადაღებებზე გაიცნეს. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ამ ფილმამდე ათი წლით ადრე ანი სერიოზულად აპირებდა ბებიაქალობის პროფესიის დაუფლებას, თუმცა ეს მედიცინისადმი დაუოკებელი ლტოლვით სულაც არ იყო გამოწვეული. უბრალოდ დედამისი მუშაობდა ბებიაქალად და უმამოდ გაზრდილი ანი ცდილობდა ყველაფერში დედას დამგვანებოდა. ომისდროინდელი ბავშვობის ყველაზე მკაფიო მოგონებანი ანის ცხოვრებაში უკავშირდება არა შიმშილსა და შიშს, არამედ ღამეულ სატელეფონო ზარებს, როცა დედამისს მორიგ მშობიარე ქალთან უხმობდნენ; ანი მარტო რჩებოდა და წარმოიდგენდა ხოლმე - როცა გაიზრდება ისიც სერიოზული სახით დასწვდება ყურმილს და იკითხავს - „ჭინთვები უკვე დაეწყო?“ - ამის შემდეგ კი შემოაჯდება ველოსიპედს და ღამეში გაუჩინარდება... სახლში კი, ალბათ, მისი პატარა გოგონაც მარტო დარჩება და გზის მაცქერალს თავზე დაათენდება.

კოლეჯის შემდეგ ანიმ მედდების სკოლაში განაგრძო სწავლა და ერთი უდღეური ბავშვის დაბადებასაც კი გაუძღვა, როგორც ნამდვილი ბებიაქალი. არადა, მის გულში უკვე შეპარულიყო ოცნება მსახიობობაზე და თეთრ ხალათს სიჯიუტითღა დაატარებდა. დედა ხედავდა ყველაფერ ამას და ერთ მშვენიერ დღეს ანის განუცხადა: „წადი, სცადე ბედი, ოღონდ თუ მსახიობად ვერ ივარგებ, კლინიკაში დაბრუნება არ დაგავიწყდეს... აქ კარგი მედდა მაინც იქნებიო!“

და აი, ერთ კვირა დღეს, ანი ეკლესიაში კი არ წავიდა წირვა-ლოცვის მოსასმენად, არამედ მას თავად უსმენდნენ მიმღები კომისიის წევრები, როცა იგი იგავ-არაკს უკითხავდა მათ. გამომცდელები სიმპათიით განეწყვნენ გოგონასადმი და ამ უკანასკნელს ისღა დარჩა, რომ თეთრი ხალათი კლინიკის მთავარ მეურნეს ჩააბარა, თავად კი - ეს ჩვიდმეტი წლის წაბლისფერთმიანი მომხიბლავი არსება - გულმოდგინედ შეუდგა დღისით სასწავლო თეატრის ლექციებზე სიარულს, საღამოს კი - საათში ჩვიდმეტი ფრანკის საფასურად - კაბარე „როზ რუჟში“ კანკანის ცეკვას.

ეს ის დრო იყო, როცა ანის „რომანებისათვის“ არ ეცალა, ამგვარი წიაღსვლები მოგვიანებით დაიწყო, როცა მან, დრამატული სკოლის დამთავრებისთანავე, „კომედი ფრანსეზში“ დაიწყო მოღვაწეობა. ფრანგი მსახიობისათვის ამ თეატრში მუშაობა იგივეს ნიშნავს, რომ კაცი ხელით ვარსკვლავს წაეპოტინოს, რადგან ეს მოასწავებს სტაბილურ კარიერას, მაღალ საზოგადოებრივ მდგომარეობას და სიცოცხლის ბოლომდე უზრუნველყოფილ მატერიალურ შემოსავალს. ანიმ კი ამ ყველაზე პრესტიჟულ ფრანგულ თეატრში მხოლოდ ორი წელი გაძლო და საკუთარი განცხადების საფუძველზე წავიდა იქიდან. მიზეზი კი, ალბათ, ის გახლდათ, რომ მას უკვე ნათამაშები ჰქონდა ორიოდე პაწია როლი ჟან გაბენისეულ ფილმებში და კინო მისთვის იმ საოცნებო სამყაროდ იყო ქცეული, სადაც ჩქეფდა სიცოცხლე, ზედმეტად აკადემიური „კომედი ფრანსეზისაგან“ განსხვავებით.

ანი თითქოს ტყვეობას გაექცა!...ასე რომ, თავბრუდამხვევ ცხოვრებასა და ტრფიალში გადაშვებაში მას აღარავინ და აღარაფერი უშლიდა ხელს; მასაც მოეძალა ის სურვილი, რაც ამქვეყნად ყველა ქალს უმღვრევს გულსა და გონებას - ანისაც სურდა ნამდვილი მამაკაცის პოვნა! ანი ჟირარდოს შემთხვევაში კი მამაკაცის ფენომენი იმიტომაც იყო იდუმალებით მოცული, რომ იგი, როგორც ვთქვით, უმამოდ გაიზარდა და არავინ და არასოდეს ჰყოლია ისეთი, ვინც მასზე იზრუნებდა და პატრონად დაუდგებოდა.

ვაი, რომ მის საარტისტო გარემოში ასეთი არავინ გამოჩნდა და ანი იძულებული ხდება ორ-სამ პარტნიორთან ერთდროულ რომანებში გაებას, რათა რამდენიმე ნაწილობრივი მამაკაცისაგან ერთი „მთელის“ განცდა ჰქონდეს. მამაკაცთან პირველი შეხვედრისას ანი მის ხელებს უყურებდა - თუ ხელები ლამაზი და დახვეწილი იყო, მას საყვარლების კანდიდატთა სიაში იწერდა. მას კი, ვინც იმხანად მისთვის არათუ საყვარლის, არამედ ქმრობის კანდიდატსაც კი წარმოადგენდა, კიდურები უკიდურესად მშვენიერი ჰქონდა, ეს სცენარისტი და რეჟისორი ნორბერ კარბონო გახლდათ. ანიმ მისგან ნიშნობის ბეჭედიც კი მიიღო, მათ ხანგრძლივი ცოლქმრული ცხოვრება ელოდათ წინ, მაგრამ უცებ... დიდმა ლუკინო ვისკონტიმ ანის იტალიაში უხმო! მას „როკო და მისი ძმები“ ელოდნენ!

ნორბერმა თავისი ლამაზი ხელებით ვერ შეძლო საცოლის დაკავება და მადამ ჟირარდო ბედისწერასთან შესახვედრად გაემგზავრა იტალიაში.

1960 წლის იანვარში ჟირარდო რომში ჩაფრინდა. პირველად მას მოეჩვენა, რომ გადასაღებ ჯგუფში მისი გამოჩენა არავის გაჰხარებია. როლისათვის სხვა მსახიობს ამზადებდნენ თურმე, რომელსაც ბოლო წუთს უარი უთქვამს და ვისკონტი იძულებული გამხდარა კანდიდატურა საფრანგეთში მოეძია; ამ ძიებაში იგი კაპრიზულ ალენ დელონსაც გადაჰყრია; გამოუცდელი ანი და თავნება ალენი კი კარგ იმედებს არ უსახავდნენ იტალიელ მაესტროს; ხოლო მისი თანამემამულე რენატო სალვატორე, რომელიც უკვე ვარსკვლავთა სიაში იყო ჩაწერილი ათიოდე „მუშურგლეხური“ როლის შესრულების გამო, ნამდვილ დათვს ჰგავდა და ბრიყვივით გამოიყურებოდა. ერთი სიტყვით, სიტუაცია საკმაოდ დაძაბული იყო და ანიმ გაიფიქრა - პარიზში ხომ არ დავბრუნდეო?! იგი ყოველდღე ურეკავდა ნორბერს და „დათვების გარემოცვაში“ ყოფნას შესჩიოდა... მაგრამ ვინ გაჰქცევია ბედისწერას?!

...ორი თვის ჩასული იყო ანი იტალიაში, როცა უცებ... რენატო სალვატორემ მას მილანში გასეირნება შესთავაზა (ეს დღე, 19 მარტი, ანის მთელი ცხოვრება ემახსოვრება). მადამ ჟირარდო სულაც არ აპირებდა ორი დღე ამ დათვის გვერდით ყოფნას, რომელმაც შესთავაზა ქალაქის ყველაზე მაღალ ტაძარზე აგიყვან და იქიდან საუცხოო პანორამის დაგანახვებო.

...მილანში კი ამასობაში მზე გაბრდღვიალდა და რენატომაც თავის მშობლიურ ქალაქში თევზივით ჩაყვინთა: აქ მას ყველა კუთხე-კუნჭულში მიესვლებოდა, აქ მას ყველა შეჰხაროდა, აქ, დილიდან საღამომდე მშვენიერ ქალს, როგორც შეყვარებულს, ხელიხელჩაკიდულს დაასეირნებდა და საღამოდან დილამდე გრძნობდა, რომ მართლა შეყვარებულია!

...კაფეში რენატო თავად არჩევს ნამდვილ იტალიურ სადილს და ანის არც ეკითხება, ისე უკვეთავს ორ პორციას ორი ბოთლი საუკეთესო იტალიური ღვინის თანხლებით; მას, მგონი, სულაც არ აღელვებს ანის გემოვნება და ქალს აჭმევს იმას, რაც მას უყვარს.

...რენატო საათობით დააბიჯებს მილანის ქუჩებში და არც-კი ახსენდება, რომ ანი მაღალ ქუსლებზეა შემომდგარი... მერე რა! - სამაგიეროდ, საყვარელ ქალს თავის საოცნებო ქალაქს აჩვენებს!

...აგერ, ვიღაც ბეხლეწებს პატარა ქურდბაცაცა ბიჭი დაუჭერიათ და უმოწყალოდ ურტყამენ... რენატოს აღარც ანი ახსოვს და აღარც სიყვარული!... ქუჩური ჩხუბი მისი სტიქიაა და ისიც ძიძგილაობის ორომტრიალში ეშვება... მერე რა, რომ ანი კივის და სახეზე ხელებს იფარებს... სამაგიეროდ ბიჭუნა თავს აღწევს ბეხლეწების მუშტებს, თავად სალვატორეს კი კურტაკი ორ-სამ ადგილას გარღვეული აქვს და სახეზეც ორიოდე ნაკაწრი ატყვია... სამაგიეროდ, უმშვენიერესმა ფრანგმა ქალმა საკუთარი თვალით ნახა ნამდვილი იტალიური მუშტიკრივი!...

ანი? ანი კი სულაც არ არის ისეთი ქალი, ვინც რამოდენიმე თვალთმაქცური „არას“ შემდეგ ვნებიან „ჰოს“ ეტყვის თავის რჩეულს... რა დროს თვალთმაქცობაა, როცა მთელი ცხოვრება ეძებდა კაცს (პატრონს!) და ახლა იგი მის წინ სახედაკაწრული დგას!...

ის ღამე იყო მათთვის პირველი და ხანგრძლივად გაწელილი ამ წუთისოფელში...

* * *

„როკო და მისი ძმები“ მთელმა მსოფლიომ ნახა და შეიყვარა, მაგრამ ანის და რენატოს ეს სულ არ აღელვებდათ, რადგან მათ თავისი სიყვარული ჰქონდათ საპატრონებელი. ვაჟი ყოველდღე რაღაც ახალს ნახულობდა ქალში და ყოველი აღმოჩენა მეტი ღირსებით ამკობდა მას. ვაჟს მოსწონდა, რომ მისი რჩეული ქალი ნაკლებად იყო პრან-




ჭვა-გრეხას გადაყოლილი, რომ მის სახეზე მაკიაჟის ნაკვალევიც კი არ ჩანდა; ის ერთადერთი სისუსტე კი, რაც ანის გადაჭერბებულ კაპრიზულობაში გამოიხატებოდა თეთრეულის მიმართ, ვაჟს სიამოვნებდა და აღაგზნებდა კიდეც... (სხვათა შორის, ოცდაათიოდე წლის შემდეგ ანი ჟირარდო ერთ საბჭოურ ფილმში გადაიღეს, სადაც მის გმირს საბჭოელი ქალის შესაფერი უხეში ბამბის ქსოვილით ნაკერი ბიუსტჰალტერი უნდა ეტარებინა, მაგრამ ანიმ ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა: „სჯობს შიშველმა ვიარო, ვიდრე ეს პარაშუტი ჩავიცვაო“).

ყველაზე მეტად კი რენატოს ის მოსწონდა, რომ ანი თანდათანობით ნამდვილ იტალიელ ქალს ემგვანებოდა: ბაზარში უზარმაზარი ჩანთით დადიოდა და დიდხანს და აზარტულად ევაჭრებოდა ნაირგვარ მეწვრილმანეებს!... გზად კი თუ უპატრონო ძაღლს ან კატას დაინახავდა, აუცილებლად მოეფერებოდა და საჭმელსაც უხვად დაუყრიდა...

ის დღე, როცა რენატომ ანის ფეხმძიმობა შეიტყო, ნამდვილ ზეიმად იქცა, რადგან ახლა უკვე მათს ცოლქმრობას აღარაფერი შეუშლიდა ხელს. ასე და ამრიგად, ანი ჟირარდო **სინიორა სალვატორეს** ოფიციალური ტიტულით ფორტე დეი მარლიში გადაბარგდა და სულ მალე დაიბადა ჯულია - ცოცხალი თოჯინა!

*(დასასრული შემდეგ ნომერში)*



**თარაზულად:** 1. მთებში გამავალი მიხვეულ-მოხვეული გზა. 6. XIX-XX სს ფრანგული წარმოშობის დიდი რუსი ბალეტმეისტერი. 11. ცნება, რაც გამოხატავს ცხენის თანაბარ სვლას ცირკის არენაზე. 12. ერთ-ერთი ყველაზე დიდი რუსული სექტანტური დაჯგუფების წარმომადგენელი. 13. სახელი ქალისა, რომელმაც ყველაზე „მშვენიერი“ ქალის როლი ითამაშა კინოში. 14. დალაქის იარაღი. 18. მსხვერპლი ანუ რა? 19. პერსონაჟი ალ. ქორქოლიანის კინოგალერეიდან. 20. „თორნიკე ერისთავის“ პერსონაჟთათვის ნაცნობი პოეტური გამოცანის სახეობა. 21. სოფელი ხაშურის რაიონში. 23. ჰიტლერული გერმანიის სიმბოლიკის მთავარი ატრიბუტი. 25. სოფელი ბოლნისის რაიონში. 27. სხეულის საფარის შემცველობაში პიგმენტების უქონლობით გამორჩეული პირი. 30. XX ს ცნობილი ესპანელი პოეტი. 31. ორგანიზმის უნარი სქესობრივ სიმწიფეს მიაღწიოს და გამრავლდეს ადრეულ საფეხურზე. 34. ციური სხეულის სახესხვაობა ძველქართულად. 35. დროის ათდღიანი მონაკვეთი. 37. პიროვნება, რომლის სახელსაც რუსული ლიტერატურის დასაბამი უკავშირდება. 39. ახლო წარსულში პოპულარული სასამოსე ქსოვილი. 40. როგორია ის სუბიექტი, რომელიც ზნეობრიობისაგან შორს დგას? 42. ცნება „ჰარმონიის“ ქართული სინონიმი. 44. დაბალი წნევის კამერა. 45. ჩვენი წინაპრებისთვის „ჰალები“, ჩვენთვის რა ქალაქი?

**შვეულად:** 1. რგოლებით თამაში. 2. ჟურნალისტური საქმიანობის შემადგენელი ნაწილი. 3. პერსონაჟი სოსო გოგიჩაიშვილის კინოგალერეიდან. 4. დიდი ველის სახესხვაობა. 5. პერსონაჟი დოსტოევსკისეული „იდიოტისა“. 7. პროფესორი, რომელმაც მოჭადრაკეთა სიძლიერის კოეფიციენტები შექმნა. 8. ფილოსოფიის ერთ-ერთი მიმდინარეობა. 9. ქართულ-ებრაული მეგობრობის კიდევ ერთი დამადასტურებელი სიტყვა. 10. საქართველოს რეგიონი. 15. ნობელის პრემიის ლაურეატი რუსი პოეტი. 16. „დეგრადირებული ელემენტი“ მარკ ტვენის ცნობილი ნაწარმოებიდან. 17. სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება. 18. ქართული სცენისა და ეკრანის ერთ-ერთი გენია. 22. მოზარდთა გარკვეული კატეგორიის გამომხატველი სიტყვა. 24. შვედური წარმოების ავტომობილი. 26. პერსონაჟი ტრაგედიისა „რომეო და ჯულიეტა“. 28. პერსონაჟი გია ფერაძის კინოგალერეიდან. 29. ქართული საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი. 32. საქორწილო სიმღერა ან ლექსი. 33. ჩუქჩეთში მდებარე ცნობილი სამრეწველო დასახლება. 36. წესიერ პირამიდაში გვერდის წახნაგის სიმაღლე. 38. უსახლკარო სუბიექტი. 39. ახლანდელი ამერიკელების „სადარდუბალე“ კაცი. 41. ჯეიმზ ჯოისის რომანი. 43. დედამიწის ბინადართათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი უნარის გამოვლინება.

## ჯელალ ედ-დინ რუმი. ყაზალები

7.
შუბლი გაიხსენ
და მიღმიერ პირს ნუღარ მიხრი,
ვით შვიდსა სფეროს,
განგვირიგე ჩვენც ლტოლვის ნიხრი...
ჩვენ შორი გზიდან
მოგვიყვანა შენმა ტრფიალმა,
მოდი, გვნახე და
განგვაშორე ლოდინის ჭირხლი.
ნეტავი შენ, რომ
შენი სულის მფლობელი შენ ხარ
და სამოთხეთა ძიებაში
ქედს არსად იხრი...
ბანიდან ქვემოთ ჩამოგვხედე
უსასო მიჯნურთ,
თორემ სადაც არს,
ჩაგვაზილა საწუთრომ წიხლი.
მწდეო, სუფიებს
სხვა სიბრუვის ღვინო სწყურიათ,
ვაზის ნაჟურს და რუმბში ნადგომს
რა თავში ვიხლი?!
მწდეო, იმ ღვინით
ისე ძლიერ უნდა დამათრო,
რომ საფლავშიაც მემღვრეოდეს,
გარდაცვლილს, სისხლი.

9

*მთარგმნელი ალ.ელერდაშვილი*

# თავსატეხი



| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | 10 | | 19 | | 28 | |
| 2 | | 11 | | 20 | | 29 | |
| 3 | | 12 | | 21 | | 30 | |
| 4 | | 13 | | 22 | | 31 | |
| 5 | | 14 | | 23 | | 32 | |
| 6 | | 15 | | 24 | | 33 | |
| 7 | | 16 | | 25 | | | |
| 8 | | 17 | | 26 | | | |
| 9 | | 18 | | 27 | | | |

**თავსატეხის გასაღები ფოტოში დევს**



**მეორე გვერდის რეიტინგის პასუხები** 1. ჭვინტა. 2. სვემა. 3. ულე. 4. ენგრი. 5. გველიყლაპია. 6. კვერი. 7. სვავი. 8. კლუნი. 9. ყვავი. 10. გნოლი. 11. ოპუსი. 12. უნამუნო. 13. პროპელერი. 14. იქევსკი. 15. ჰაუ. 16. პლაჟი. 17. მსუყე. 18. ფრთა. 19. ყრუ (სოლო - ჴ ). 20. ჩიკო. 21. ქვერი. 22. ვერჟე. 23. მვერუ. 24. დაკია. 25. ჯამნა. 26. ბირთვი. 27. ორშა. 28. არკი. 29. მიმინო. 30. საკენკი. 31. ბერტონი. 32. ტავრია. 33. თართი. 34. სომსი. 35. პაავო. 36. აბრუ. 37. ბოტევი. 38. პია. 39. არწივი. 40. საკე.

# კოსმოსის ათვისება

## პილოტირებული ფრენის ქრონიკა

გასულ ნომერში გაიპარა შეცდომა - რიგით 56-ე ფრენა პეტრე კლიმუკისა და ვიტალი სევასტიანოვისა შესრულდა არა 1975 წლის 5 აპრილს, არამედ 1975 წლის 24 მისიდან 26 ივლისამდე.

57. 1975 წელი, 15-21 ივლისი
**ალექსეი ლეონოვი, ვალერი კუბასოვი** - კოსმოსური ხომალდი **„სოიუზ-19“.**
*პირველი საერთაშორისო კოსმოსური ფრენა. ხომალდების შეპირაპირებისათვის ჩატარდა ერთობლივი ექსპერიმენტები.*

58. 1975 წელი, 15-25 ივლისი
**თომას სტაფორდი, ვენს ბრანდი, დონალდ სლეიტონი** - კოსმოსური ხომალდი **„აპოლონი“.**
*პირველი საერთაშორისო კოსმოსური ფრენა.*

59. 1976 წელი, 6 ივლისი - 24 აგვისტო
**ბორის ვოლინოვი, ვიტალი ჟოლობოვი** - კოსმოსური ხომალდი **„სოიუზ-21“.**
*პირველი ექსპედიცია სადგურ „სალიუტ-5“-ზე.*

60. 1976 წელი, 15-23 სექტემბერი
**ვალერი ბიკოვსკი, ვლადიმერ აქსიონოვი** - კოსმოსური ხომალდი **„სოიუზ-22“.**
*მოდიფიცირება ხომალდისა დედამიწის მრავალზონალური გადაღებებისათვის.*

61. 1976 წელი, 14-16 ოქტომბერი
**ვიაჩესლავ ზუდოვი, ვალერი როჟდესტვენსკი** - კოსმოსური ხომალდი **„სოიუზ-23“.**
*ხომალდისა და კოსმოსური სადგურის შეკავშირების სისტემის მწყობრიდან გამოსვლა. დაშვება ღამით ტენგიზის ტბაზე.*

62. 1977 წელი, 7-25 თებერვალი
**ვიქტორ გორბატკო, იური გლაზკოვი** - კოსმოსური ხომალდი **„სოიუზ-24“.**
*მეორე ექსპედიცია ორბიტალურ სადგურ „სალიუტ-5“-ზე.*

63. 1977 წელი, 9-11 ოქტომბერი
**ვლადიმერ კოვალიონოკი, ვალერი რიუმინი** - კოსმოსური ხომალდი **„სოიუზ-25“.**
*ვერ განხორციელდა ორბიტალურ სადგურთან შეპირაპირება*

64. 1977 წლის 10 დეკემბერი - 1978 წლის 16 მარტი
**იური რომანენკო, იური გრეჩკო** - კოსმოსური ხომალდები **„სოიუზ-26“, „სოიუზ-27“, „პროგრეს-1“.**
*პირველი ექსპედიცია ორბიტალურ სადგურ „სალიუტ-6“-ზე. ფრენის ხანგრძლივობა - 96 დღეღამე. სატვირთო ხომალდ „პროგრესთან“ შეპირაპირება, ორბიტაზე საწვავით უზრუნველყოფა. ერთობლივი მუშაობა მეორე და მესამე ექსპედიციასთან.*

65. 1978 წელი, 10-16 იანვარი
**ვლადიმერ ჯანიბეკოვი, ოლეგ მაკაროვი** - კოსმოსური ხომალდი **„სოიუზ-27“, „სოიუზ-26“.**
*მეორე ექსპედიცია ორბიტალურ სადგურ „სალიუტ-6“-ზე. ორბიტაზე ოთხი კოსმონავტის ერთობლივი მუშაობა.*

66. 1978 წელი, 2-10 მარტი.
**ალექსეი გუბარევი, ვლადიმერ რემეკი (ჩეხოსლოვაკია)** - კოსმოსური ხომალდი **„სოიუზ-28“.**
*მესამე ექსპედიცია ორბიტალურ სადგურ „სალიუტ-6“-ზე. პირველი საერთაშორისო ეკიპაჟი.*

67. 1978 წელი, 15 ივნისი - 2 ნოემბერი
**ვლადიმერ კოვალიონოკი, ალესანდრე ივანჩენკოვი** - კოსმოსური ხომალდი **„სოიუზ-29“, „სოიუზ-31“, „პროგრეს-2,3,4“**
*მეოთხე ექსპედიცია ორბიტალურ სადგურ „სალიუტ-6“-ზე. ფრენის ხანგრძლივობა - 140 დღეღამე. მეხუთე და მეექვსე ექსპედიციასთან ერთობლივი მუშაობა. შეპრაპირება სატვირთო ხომალდებთან ორბიტაზე საწვავით უზრუნველყოფისათვის.*

68. 1978 წელი, 27 ივნისი - 5 ივლისი
**პეტრე კლიმუკი, მიროსლავ გერმაშევსკი (პოლონეთი)** - კოსმოსური ხომალდი **„სოიუზ-30“.**
*მეხუთე ექსპედიცია ორბიტალურ სადგურ „სალიუტ-6“-ზე. მეორე საერთაშორისო ეკიპაჟი.*

69. 1978 წელი, 26 აგვისტო - 3 სექტემბერი
**ვალერი ბიკოვსკი, ზიგმუნდ იენი (გდრ)** - კოსმოსური ხომალდი **„სოიუზ-31“, „სოიუზ-29“**
*მეექვსე ექსპედიცია ორბიტალურ სადგურ „სალიუტ-6“-ზე. მესამე საერთაშორისო ეკიპაჟი.*

# გასული ნომრის პასუხები

**მე-2 გვერდი** *თარაზულად*: 1. უწესობა. 7. შემიყოლიე. 8. ოპერატორი. 9. ვაკელი. 11. გამგონი. 15. სიბერე. 16. იდარა. 18. ვინ. 19. ჩექმებიანი. 22. ათმაგი. 23. გაქურდვა. 26. ამ. 27. ზმნა. 28. ტყეებში. 30. ალიკვალი. 31. მუცლით. 33. ელიბოს. 34. ნინიძემ. 35. აღარ. 36. მოგონება. *შვეულად*: 2. წამყე. 3. საყვარლები. 4. ბალღო. 5. უშფოთველი. 6. ბეკინას. 10. კოსტიუმი. 12. გადაბრუნებული. 13. ნორმა. 14. ორჯერ. 17. უმლაუტი. 20. გადავადება. 21. უგემოვნოდ. 24. დაბოლოება. 25. დაბლა. 29. ტიტინა. 32. კილო.

**მე-3 გვერდი** *თარაზულად*: 1. ემპირიზმი. 6. ლექსუსი. 12. ავტოპორტრეტი. 13. სკლერა. 15. ცეოორი. 16. ტრანსპორტირი. 18. ალოე. 19. შორტი. 20. ატაქსია. 24. ელიზბარი. 25. ფრიზი. 26. ბათუ. 29. ელეგია. 30. ვლადივოსტოკი. 31. ირიგაცია. 32. ლიგურია. *შვეულად*: 2. მეტროპოლიტენი. 3. იუპერი. 4. იორი. 5. მარშრუტი.7. საკარაქე. 8. სტერილიზატორი. 9. განცხადებები. 10. ატენი. 11. კაცია. 14. აპატოზავრი. 17. გოგრა. 21. იბლისი. 22. ფრიდა. 23. გურია. 27. ილფი. 28. ფსოუ.

**მე-4-5 გვერდები** *თარაზულად*: 1. საკაცე. 4. მარიამობა. 8. მაკბეტი. 14. ჭორიკანა. 15. ნაფტალინი. 16. არმადა. 19. სვერდლოვსკი. 20. კონსტრუქტორი. 23. ჩონგური. 24. პორტლენდი. 25. ეტნა. 29. პრონტო. 30. ევრაზია. 31. ლინკორი. 35. სოდა. 36. ნავრატილოვა. 37. სტევინი. 41. ეგოროვი. 42. სოსნოვეცი. 43. აზარტი. 47. კარიბუ. 48. კოკოშკა. 49. ინტეგრაცია. 52. არაუკარია. 53. მაკრამე. 54. ეტლი. 58. რუსო. 59. ბლადი. 60. შელია. 61. შპატი. 66. ანისი. 67. არზიანი. 68. ბიულეტენი. 73. ლინკოლნი. 74. ფარვატერი. 75. სკვითი. 78. პისტოლეტი. 79. დიალოგი. 80. ერგი. 84. ლეკალო. 85. მითრიდატე. 86. ბრეგეტი. 90. ნული. 91. მესია. 92. მენზურა. 93. ბაუნტი. 97. ტრუმენი. 98. მონრო. 99. ონტარიო. 104. პროსპექტი. 105. შეილოკი. 106. ჯიპი. 110. ტიროლი. 111. შარლატანი. 112. ფლორინი. 116. გერასიმოვი. 117. არმინია. 118. უზანგი. 121. არქე. 122. ალილუია. 123. სიდერაცია. 127. ინოკენტი. 128. პალერმო. 129. სამოვარი. 130. ლიბია. 131. ბაზილიო. 132. კათალიკოსი. *შვეულად*: 1. სოჭი. 2. კიროვი. 3. ცუკერტორტი. 5. იგარკა. 6. მუტი. 7. ბალმონტი. 9. ბარაქა. 10. ტრავოლტა. 11. ანშლაგი. 12. ანესთეზია. 13. ქათინაური. 17. ყვარყვარე. 18. პრედიკატი. 21. კომპასი. 22. პოლიკლინიკა. 26. სოვდაგარი. 27. გასტრონომია. 28. პროვიზორი. 32. ქარვა. 33. ჭვავი. 34. ანთრაციტი. 38. გრაბარი. 39. სცენარი. 40. ვიტალიზმი. 44. შკიპერი. 45. კომანდორი. 46. თერმოპილე. 50. შუღლი. 51. მაშია. 55. ესენინი. 56. ლეონოვი. 57. სტატიკა. 62. ესკორიალი. 63. პიკანტური. 64. ბივრილი. 65. ანტიპროტონი. 69. კლოფელინი. 70. ანეტო. 71. სტრიპტიზი. 72. მიდია. 76. ალქიმია. 77. იგორი. 81. ოკულარი. 82. უდღეური. 83. აგრაფია. 87. ბერნესი. 88. გრანელი. 89. პიცერია. 94. ამარილისი. 95. პორტალი. 96. ვაიკულე. 100. კარტოგრაფია. 101. ლელაშვილი. 102. პუანტილიზმი. 103. პიანინო. 107. პრორექტორი. 108. სტარი. 109. პროზაიკოსი. 113. ამულეტი. 114. გინეა. 115. ყინწვისი. 119. ნიზამი. 120. ფარადა. 124. პერი. 125. ლეში. 126. ხაჭო.

**მე-7 გვერდი** *თარაზულად*: 1. ფშატაძე. 4. ატაშე. 7. ბინძური. 14. სოფელი. 15. პარაპლანი. 16. აგამია. 18. იურა. 19. საგაზაფხულო. 20. ნიბლია. 23. სერთუკი. 24. კვაზიმოდო. 28. დაფნა. 29. ჩვარი. 30. სტრომბოლი. 35. მოპასანი. 36. ნოსფერატუ. 37. აჩმა. 40. ტირაჟი. 41. კოსტაია. 42. კლასი. 46. ნევა. 47. სექტი. 48. უწერა. 49. ანკარა. 53. ლორდი. 54. ხარლამოვი. 55. ხაკი. 59. შახტა. 60. ჰანოი. 61. პლაცკარტი. 66. ულის. 67. პატრიარქი. 68. ანტილოპი. 69. ოპერაცია. 70. გალილეი. 71. მეხიკო. *შველად*: 2. შიფერი. 3. ტულა. 5. ტრაკაი. 6. შოლოხოვი. 8. ძეგლისდება. 9. რომელი. 10. ასთიონა. 11. პარასკევი. 12. ანალიზატორი. 13. ქამანდი. 17. თართი. 21. ვერნისაჟი. 22. იმპორტული. 25. კასპაროვი. 26. არქონტი. 27. ალუჩა. 31. სმეტანინა. 32. ენა. 33. უფლისწული. 34. ნავიგაცია. 38. კორტი. 39. ქსანი. 43. ვერდი. 44. ხრამული. 45. გალაკტიონი. 50. კოლტი. 51. პანორამა. 52. ავიცენა. 56. გალიფე. 57. ზაური. 58. საპირე. 62. სუმო. 63. დალი. 64. აქტი. 65. ტიტო.

**მე-18 გვერდი**

1. ატაკამა. 2. ტოტემი. 3. კულული. 4. არქტიკა. 5. ტყიური. 6. კოტეჯი. 7. სამახარობლო. 8. საკარმიდამო. 9. სტელა. 10. დავაო. 11. პიეტა. 12. ფარაონი. 13. აკონაკი. 14. ამალგამა. 15. ანკორიჯი. 16. ლამაზმანი. 17. ბეშთაუ. 18. ავენიუ. 19. ოდენსე. 20. თრომბი. 21. ტეკვანდო. 22. დეკოდერი. 23. ათენი. 24. შლემი. 25. ანემო. 26. კუტუნიო. 27. პიცერია.





**მეცხრე გვერდი**









| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ა | 30 | მ | 7 | ღ | 8 |
| ბ | 1 | ნ | 20 | ყ | 15 |
| გ | 28 | ო | 18 | შ | 19 |
| დ | 14 | პ | 33 | ჩ | 3 |
| ე | 31 | ჟ | 6 | ც | 10 |
| ვ | 21 | რ | 32 | ძ | 26 |
| ზ | 12 | ს | 9 | წ | 27 |
| თ | 17 | ტ | 25 | ჭ | 29 |
| ი | 5 | უ | 2 | ხ | 11 |
| კ | 23 | ფ | 24 | ჯ | 22 |
| ლ | 16 | ქ | 4 | ჰ | 13 |

ი/ს „ფანტაზია-2000“ (ნატალია ბერიკიშვილი)
რეგისტრ. ვაკე-საბურთალოს რ-ნ სასამართლოში № 5/1-2304
ტელეფონი - 79-53-70, (8-77) 72-61-18, (8-77) 45-19-80
ე-მაილ: სასჰიკო45 ჰოტმაილ.ცომ
გამოდის ყოველ პარასკევს
ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილების რედაქტორობით

40

25

| Column | Clues |
|---|---|
| 1 | 14 |
| 2 | 16 |
| 3 | 6 5 |
| 4 | 18 |
| 5 | 18 |
| 6 | 15 2 |
| 7 | 1 13 2 |
| 8 | 2 13 2 |
| 9 | 3 13 2 |
| 10 | 3 5 6 2 |
| 11 | 2 5 6 2 |
| 12 | 1 13 2 |
| 13 | 1 13 2 |
| 14 | 1 13 2 |
| 15 | 8 4 2 |
| 16 | 8 3 2 |
| 17 | 8 4 2 2 |
| 18 | 8 2 2 1 2 |
| 19 | 7 2 2 2 1 1 |
| 20 | 6 2 1 1 1 1 |
| 21 | 6 2 1 1 1 1 |
| 22 | 6 2 1 1 1 1 |
| 23 | 7 2 2 2 1 1 |
| 24 | 8 2 2 1 2 |
| 25 | 8 4 2 2 |
| 26 | 8 3 2 |
| 27 | 8 4 2 |
| 28 | 1 13 2 |
| 29 | 4 13 2 |
| 30 | 2 1 8 3 2 |
| 31 | 2 1 7 2 2 2 |
| 32 | 2 1 4 1 1 1 2 |
| 33 | 2 1 4 1 1 1 2 |
| 34 | 4 7 2 2 2 |
| 35 | 1 8 3 2 |
| 36 | 1 13 2 |
| 37 | 18 |
| 38 | 17 |
| 39 | 16 |
| 40 | 14 |

| Row | Clues |
|---|---|
| 1 | 1 1 |
| 2 | 5 |
| 3 | 5 |
| 4 | 7 |
| 5 | 9 6 |
| 6 | 2 11 6 |
| 7 | 4 13 1 1 |
| 8 | 15 14 |
| 9 | 4 13 2 |
| 10 | 38 |
| 11 | 18 17 |
| 12 | 17 16 |
| 13 | 16 5 15 |
| 14 | 15 2 2 5 7 |
| 15 | 2 6 3 2 2 4 7 |
| 16 | 2 6 3 1 1 4 7 |
| 17 | 2 11 1 1 3 2 6 |
| 18 | 2 11 2 2 2 1 1 5 |
| 19 | 2 12 2 2 3 1 1 5 |
| 20 | 2 13 5 5 2 6 |
| 21 | 17 7 7 |
| 22 | 40 |
| 23 | 5 4 |
| 24 | 18 17 |
| 25 | 38 |

მოგეხსენებათ ივლისის თვის სამ ნომერში ვცადეთ „იაპონელ მხატვართა“ კონკურსი ჩაგვეტარებინა, რაც ჩვენთვისაც სიახლე იყო და მონაწილეებისათვისაც, რადგან მსგავსი გრაფიკულ-ლინგვისტური პაექრობა ჯერჯერობით უცხო და უცნაური ხილია. ამან გარკვეული დაღი დაასვა ტურნირის მსვლელობას, რაც პირველ რიგში შესადგენი სიტყვების შინაარსობლივ-გრამატიკულ კრიტერიუმში აისახა, ამას ზედ დაერთო ის სამწუხარო შეცდომაც, რაც უკანასკნელი ტურის ნახატში გაიპარა, სადაც მე-13 ჰორიზონტალურ ხაზზე ნაცვლად **5-11-11-7**-ისა მითითებული იყო **5-11-11-17**; სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ზოგმა მონაწილემ ვერ შეძლო ნახატის ამოხსნა, თუმცა ბევრმა მათგანმა დაგვირეკა და, მას შემდეგ, რაც ამ შეცდომის არსებობა გაირკვა, „მამლის“ დახატვაც მოხერხდა და ის ასოებიც მოიძებნა, რომლებითაც სიტყვა „ტუტანჰამონის“ და მისგან გამომდინარე ბევრი სხვა სიტყვის შედგენა იყო შესაძლებელი.

...ბოდიშს ვუხდით ყველას, ვინც, ამ შეცდომის გამო, ამაოდ დაშვრა, თუმცა მაინც გვსურს განვლილი ტურნირი შევაჯამოთ, რადგან მას ჰყავს ერთმნიშვნელოვანი გამარჯვებული ქალბატონი ზიზი ბუბაშვილი, ვისაც გადაეცემა ჩვენი პრიზი.

ვინც „იაპონურ მხატვრობაში“ კარგადაა გარკვეული, იცის, რომ უმცირესი შეცდომაც კი შეიძლება გახდეს მიზეზი ნახატის ვერამოხსნისა, ამიტომ დღეის ამასიქით დავბეჭდავთ მხოლოდ ისეთ ნახატებს, სადაც რიცხვები სპეციალური კომპიუტერული პროგრამის მიერ იქნება ჩაწერილი. მართალია, ეს ოდნავ გაუარესებული შრიფტით მოხდება, სამაგიეროდ შეცდომა გამორიცხულია.

...რაც შეეხება მორიგ კონკურსს, მისი პირობების დახვეწის შემდეგ ვეცდებით კვლავ ავამოქმედოთ ამგვარი ტურნირი.



## 1000 კურიოზი

478. ორი ნიანგი ხეზე ზის, ერთი ეუბნება მეორეს:

- გახსოვს, ჩერნობილამდე მწვანეები რომ ვიყავით?

- მახსოვს!..

- გახსოვს, ცურვა რომ შეგვეძლო?

- მახსოვს!... კარგი, გეყოფა, გავფრინდეთ, სკაში გველოდებიან.

479. ფიქრები სტადიონზე

„...წარმოგიდგენიათ! - 22 მოთამაშე, 2 მწვრთნელი, 10 სათადარიგო მოთამაშე, 1 მსაჯი, ორი გვერდითი მსაჯი, 6 ოპერატორი, ტელევიზიის სამი მუშაკი, 50 სპორტული ჟურნალისტი, 80 000-მდე მაყურებელი და... ამ მტრედმა „იმენა“ მე დამასკლინტა?!

480. სპორტის სიახლენი საინფორმაციო პროგრამაში:

„...აი, ყველაფერი, რაც ფეხბურთის შესახებ გვინდოდა გვეთქვა, ახლა კი ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატზე ვისაუბროთ....“

481. **– Вчера встретил одноклассниц. Они как розы!**

**– Что, расцвели?**

**– Нет... распустились.**

482. მილიონერის დაკრძალვაზე.

სამგლოვიარო პროცესიაში ერთი ახალგაზრდა ქალი ტირის... ტირის... თავს იკლავს. იქვე მიმავალი კაცი ცდილობს მის დამშვიდებას:

- დამშვიდდით, ქალბატონო!... მიცვალებული ალბათ თქვენი ახლო ნათესავი იყო?

- არა!... ამიტომაც ვტირი!

483. რჩევა ბიზნესით დაკავებულ ადამიანებს:

ერთმა ფირმამ ერთი და იმავე საქონლის ორი განსხვავებული ფასით გამოშვება დაიწყო: სულელებისათვის და ჭკვიანებისათვის; ანუ - საქონლის ერთ ნაწილს ეწერა: სულელებისათვის - ამდენი და ამდენი, მეორე ნაწილს კი - ჭკვიანებისათვის: ორჯერ მეტი. გარწმუნებთ, რომ ყველა სულელი ორმაგ ფასს იხდიდა!



484. განცხადება - ვარ საშუალო ასაკის, ორჯერ დაქვრივებული მამაკაცი ვეძებ ცხოვრების თანამგზავრს. ჩემი მონაცემებია: სიმაღლე - 178 სმ, თაფლისფერი თვალები, ჰობი - ნაწვიმარზე დავდივარ სოკოზე, ვკრეფ და ვამზადებ ნაირგვარ სადილს...

485. 1 იანვარს დილით ჩატარებული სატელეფონო გამოკითხვის შედეგები:

2%-ის პასუხი იყო - „დიახ!“

3%-ის პასუხი - „ალო!“

95%-ს პასუხის გაცემა გაუჭირდა!

486. დაბოლოს - რეკლამა

„...ჩვეულებრივი დეზოდორანტი მხოლოდ ფარავს ოფლის სუნს... ახალი დეზოდორანტი კი ჯერ კლავს ბაქტერიებს, შემდეგ იქლინთება კანში, იჭრება სისხლში, აღწევს ნერვულ უჯრედებამდე, აჩერებს სუნთქვას... მიცვალებულებს ოფლი არ ასხამთ!

ატამანი / ფოტოზე აღბეჭდილი ქალბატონის სამშობლო

ბიბლიური პერსონ.

ოჯახის ზეიმი / აფრიკის ქვეყანა

რაჭის წყალსაცავი

რუს.თვითმფრინავი / გერმან. მდინარე

სალოცავი ცხოველი

სხეულის ნაწილი / პარლამენტშია

შავი ზღვის ქვეყნები

მაგდანას ბიზნესი / იაკობი

(.....) უზალა

ქსელი / სვანური სახელი

„სიყვარული ყველას უნდა" პერსონ.

შტატ აიდაჰოს ადმ. ცენტრი

ანჟელიკა მონარქი / თურქეთის კურორტი

ბრაზილიელი ფეხბურთელი / სამეგრელოშია

გრძელი წინდა / ლენინის პოლიტიკ.

სამი დღე ცოცხლობს

როლი, რაშიცეს ქალბატონიჯინა ლოლობრიჯიდას შეეცილა

აზიის ქვეყანა / ესკორტი

(......) დუღაშვილი

აშშ-ს კოსმ. ორგანიზაცია




მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტი

(......) წერეთელი

ხარჭა / სიცილი / ირანის ქალაქი

ხმაური / №11

(......) ნოვოტნა

უნგრელი კომპოზიტორი

ჩვენი დიდი მეფე

ინგლ.მოჭადრაკე / პლებეი

„კაროჩე" - ძველთბილისურად

მილუტინოვიჩი

იმერეთშია

ფრანგი მსახიობი მამაკაცი, ფილიპ...

ბრაზილიის ქალაქი, იგივე პარნამბუკუ

წყვილი

პაუზა

როგორ?

ქვებს რომ ისვრის ბიჭი...

ელგუჯას სატრფო / ნაკლი

ქალის პირველი მსხვერპლი

ლისის ტბაზე რა არის?

*შეადგინა ალ.ელერდაშვილმა*

ავადმყოფი

აკაკის ლექსი

ხეობა ამერიკაში

**პარასკევის „ფანტაზიის" შემდეგი ნომერი გამოვა ორი კვირის შემდეგ, 31 აგვისტოს**